



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობილ ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდილუბით და ჭბრბით ბუბ-
თის გაცანა ყუელა უჯანბნობაჲ უსაბაგლესია.

ბაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა


შაბათი, 13 აპრილი. 2019 წ. №74 (8740)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

„შუროჩკები“ ქართულ პოლიტიკაში

შხაშიანი საინფორმაციო ტერორისტები



SOS!
ამ ლოქოს ხეა
ნამღვილად არ
გამიჭირდება...
ან მიხედავთ
ამ ავადყოფს,
ან მე მიხედავ!

ტელეკომპა-
ნი „იმედის“ ჟურ-
ნალისტი ნანა ლე-
ჟავა სოციალურ
ქსელში შინაგან
საქმეთა სამინისტ-
როს მიმართავს.
— ამ ქვეყანაში
ყველა მეტრაკვეს
აქვს უფლება შეუ-
რაცხყოფა მოგაყენოს, დაგაბრალოს და მე-
რე შენ რა უნდა ქნა, დადგე და თავი იმარ-
თლო? სულ გატარება არ გამოდის!!! შინა-
გან საქმეთა სამინისტროს ვთხოვ: ან მიხე-
დავთ ამ ავადყოფს, იცით, ვისზეც ვსაუბ-
რობ, ან ორშაბათიდან მე მივხედავ! ამ ლო-
ქოს ცემა ნამდვილად არ გამიჭირდება, თან
სახალხოდ!!! — წერს ჟურნალისტი.



რა წერის მიწის კანონში

2

ინტერნეტ თაღლითობა და კიბერდანაშაულება შეეშვა!

რა უნდა ვიხსოვდეთ
დანაშაულის
პრევენციისთვის

3

ნანა ლვინუაძე „...მენატრები, გულის იმერეთი“

6

სადაც თუნი ავირეთ!..

14 აპრილი რეაქციის დღეა!


ენისკასობიდან - პრისკასობამდე

ნათქვამია, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. იცოცხლეთ, პოლიგლოტობა, ძველქართულად სადუნობა, კარგია, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, როგორ ვუფრთხილდებით იმ დედაენას, რომლის დასაცავადაც, თუნდაც 1978 წლის 14 აპრილს რუსთაველზე გაგანია საბჭოთა ეპოქისთვის უჩვეულოდ მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობა, მეტადრე — სტუდენტობა გამოვიდა და ერის ინტელექტუალური ელიტის წინამძღოლობით თანამედროვე ნამეტანი „პრადვიწუტები“, „ნითელ ინტელიგენციად“ რომ მოიხსენიებენ, კბილებით გაიტანა ლელო.

დიახ, მაშინ ჯერ კიდევ შორს იყო „პერესტროიკა“, მაგრამ იმპერიის სუხსიც კი უძლური გამოდგა ერის მოწინავე ნაწილის უპრეცედენტო ალტყინების წინაშე — კრემლი და იქ მოკალათებული ველიკოდერჟავული ძალაუფლებით დაბანგული მაღალჩინოსნები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. შუა გაზაფხულის იმ დაუფინყარ დღეს თბილისის ცენტრში განვიტარებული საეტაპო მნიშვნელობის მოვლენები თამამად შეგვიძლია, რომ მივიჩნიოთ მოახლოებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გენერალურ რეპეტიციად, მალევე დამოუკიდებლობის აღ-

დგენით რომ დაგვირგვინდა. სვალ ჩვენი თანამემამულენი კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან დედაენის ძეგლთან. რა თქმა უნდა, მათ შორის მრავლად იქნებიან თხემით ტერფამდე მამულიშვილნიც, თუმცა, სამწუხაროდ, ისეთებიც მოიწონებენ სხვათა დასანახად თავს, მთავარ მიზნად ტელეკამერების წინაშე ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით ყელყელაობა რომ დაუსახავთ. რას ვიზამთ, ყველას ერისკაცობას ვერ მოვთხოვთ. ვინატროთ, რომ სრულიად საქართველომ უერთგულოს 1978 წლის 14 აპრილის იდეას.

ბია პლატონიშვილი



გამეზავნა ბასტაძე: ქართული საგლობალიზაციო უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში!

ქართული საგლობალიზაციო არის უნიკალური მოვლენა მსოფლიო ისტორიაში და ეს არის მსოფლიო საგანძურის, რომელსაც განსაკუთრებული მოვლენა სჭირდება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მე-10 საუკუნის ჰიმნოგრაფიულ კრებულში დაცული სამუსიკო ნიშნების — ნევმების — კვლევის შედეგების პრეზენტაციაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მეცნიერებს, რომლებიც მნიშვნელოვან ნაშრომებს — ნევმების — კვლევის შედეგების პრეზენტაციაზე განაცხადებენ.

„ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, იმით, რომ ქართველ ერს უნიკალური წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო ცივილიზაციაში. როდესაც ვსაუბრობთ მსოფლიო ცივილიზაციაში ჩვენს წვლილზე, რატომ უნდა, პირველ რიგში ვგულისხმობთ ქართულ მრავალხმიანობას, რითაც თითოეული ჩვენგანი ამაყობს. ქართული საგლობალიზაციო უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში და ეს არის მსოფლიო საგანძური, რომელსაც განსაკუთრებული მოვლენა სჭირდება. მსურს, ვისარგებლო შემთხვევით და ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც შეინარჩუნა ეს უნიკალური სიმ-

დიდრე მომავალი თაობებისთვის, ვინაიდან, საქართველოს ისტორიაში არსებობდა ისეთი პერიოდები, როდესაც მართლაც დიდი რისკის ქვეშ იდგა ამ უნიკალური საგანძურის შენარჩუნება“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, დაიწყო სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვითაც ქართულ ფოლკლორს და საგლობალიზაციას საქართველოს მასშტაბით ყველგან შესანავლიან.

მთავრობის მეთაური მიიჩნევს, რომ საქართველო ქართული საგლობალიზაციის მეტი პოპულარიზაცია საქართველოს და მსოფლიოს მასშტაბით, იმისათ-



ვის, რომ ის მომავალ თაობებს გადაეცეს.

მე-10 საუკუნის ჰიმნოგრაფიულ კრებულში დაცული სამუსიკო ნიშნების — ნევმების — კვლევის შედეგების პრეზენტაცია ეროვნულ მუზეუმში გაიმართა. ნევმირებულ ძლისპირებებსა და მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცულ ნევმურ სისტემას წლების განმავლობაში ანჩისხატის გუნდის ნევმები მალხაზ ერქვანიძე და ზაალ წერეთელი იკვლევდნენ.

კახა კალაძე: სიკეთის კეთებას დანაშაული ყოფილა!



ოპოზიციის განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ წინასაარჩევნოდ ბიძინა ივანიშვილის გააქტიურება ამომრჩევლის მოსყიდვასა და გულის მოგებას უკავშირდება, თბილისის მერმა უპასუხა. კახა კალაძის თქმით, ბიძინა ივანიშვილს არჩევნებამდეც ბევრი სიკეთე აქვს ქვეყნისთვის გაკეთებული.

„ადამიანს სამი მილიარდი ლარი აქვს დასარჯული საქველმოქმედო პროექტებზე, რომელიც იფიციალურად არის დამტკიცებული. სამეგრელოში ჩავიდა და მაშინვე არჩევნებს დაუკავშირეს. კაცს სამება აქვს აშენებული და დაყვანა გახდა საჭირო.“

კითხვაზე მას შემდეგ დაიძაბა, რაც ენმ-ს წევრმა მირდატ ქამადაძემ განაცხადა, რომ მერიის აიპებისა და სიპებისგან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნდებული ორგანიზაციებიდან საჯარო ინფორმაციას არაერთი გამოთხოვის მიუხედავად ვერ იღებენ.

დაპირისპირება ბათუმის საკრებულოში ბერძენი ბრანდის „პროზაიკოსობის“ გამო!

ბათუმის საკრებულოში დეპუტატებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, ერთმანეთს „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წევრები დაუპირისპირდნენ.

ფიზიკური დაპირისპირების დროს დაშავდა „ქართული ოცნების“ დეპუტატი როინ ზოიძე, რომელსაც თავი დაუზიანდა და მისი სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა გახდა საჭირო.

კითხვაზე მას შემდეგ დაიძაბა, რაც ენმ-ს წევრმა მირდატ ქამადაძემ განაცხადა, რომ მერიის აიპებისა და სიპებისგან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნდებული ორგანიზაციებიდან საჯარო ინფორმაციას არაერთი გამოთხოვის მიუხედავად ვერ იღებენ.



ოპოზიციის ეჭვი აქვს, რომ „ბათუმის წყალს“, სანდასუფთავებასა“ და სხვა აიპებში ნეპოტიზმია. მათი თქმით, აღნიშნულ სახელმწიფო დაწესებულებებში ხელმძღვანელი პირების ნათესავები არიან დასაქმებული.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ბრალდებას „ქართული ოცნების“ წევრმა ნატალია ზოიძემ უპასუხა. მისი თქმით, ხელისუფლების ოპონენტები პერსონალურ ინფორმაციას ითხოვენ, რისი გაცემაც დაუსაშუალებელია.

სხდომაზე სენსაციური დაპირისპირების მიზეზი გახდა აგრეთვე ტერენტი გრანელის პროზაიკოსად მოხსენიება... დიდ პოეტს ბათუმში ძეგლი/ბიუსტი უნდა დაუდგან... ეს ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა.

კანონპროექტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ჯერაც განხილვის პროცესშია და ეტაპობრივად ცვლილებებს განიცდის. ამ ეტაპზე კანონპროექტის მოკლე შინაარსი ასეთია:

კანონპროექტის ამ ვერსიის მიღების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება ექნებათ:

- სახელმწიფოს, ავტონომიურ რესპუბლიკას, მუნიციპალიტეტს;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირს;
- საქართველოს მოქალაქეს;
- საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, თუ იურიდიული პირის დომინანტი პარტნიორი არის ზემოაღნიშნული სუბიექტი ან სუბიექტები;
- გაერთიანებულ ამხანაგობებს, რომლებიც არ რეგისტრირდებიან იურიდიული პირის სახით, თუ წევრების უმრავლესობას წარმოადგენენ ზემოაღნიშნული სუბიექტებით გათვალისწინებული სუბიექტი ან სუბიექტები.

რას ნიშნავს დომინანტი პარტნიორი?

დომინანტი პარტნიორი არის საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორი ან პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის წილის/აქციის/პაის 50%-ზე მეტი, ან წარმოადგენს პარტნიორების

რა ნერვის მიწის კანონში

ან დამფუძნებლების წევრების უმრავლესობას და აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი უფავლენა მოახდინოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებით.

რა უფლებაები აქვს უსხოელს?

მიწა ასევე შეიძლება იყოს უცხოელის საკუთრებაში, თუ ის მექვიდრეობით მიიღო.

მიწა შეიძლება იყოს საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის ისეთი იურიდიული პირის საკუთრებაშიც, რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი.

- ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ იღებს მთავრობა და ისიც საინვესტიციო გეგმის საფუძველზე;
- საინვესტიციო გეგმით



განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ისუბიექტმა ერთი წლის ვადაში უნდა უზრუნველყოს მიწის ნაკვეთის გასხვისება.

რას გულისხმობს საინვესტიციო გეგმა?

ეს არის სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენების ამსახველი დოკუმენტი, რომლითაც პირი იღებს ვალდებულებას, განახორციელოს სათანადო ინვესტიციები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, ინოვაციური საქმიანობის დაწერვის, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების შესრულების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული უსაფრთხოების დაცვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ლი კერძო სამართლის იურიდიული პირის (რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი) საკუთრების უფლება რეგისტრირებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ის ვალდებულია უზრუნველყოს ამ მიწის დანიშნულებისამებრ გამოყენება.

თუ სამი წლის განმავლობაში ამ მოვალეობას არ შეასრულებს, დაეკისრება სანქცია.

თუ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეა, შეუწყდება საქართველოს მოქალაქეობა, მის მიმართ გავრცელებული უცხოელისთვის გათვალისწინებული მოთხოვნები.

შეინიშნება

11 აპრილს კანონპროექტი განიხილა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა. კანონპროექტის მიმართ დამოკიდებულია წინააღმდეგობრივი იყო, კერძოდ, გამოითქვა შენიშვნები:

- კანონპროექტი დისკრიმინაციულია საქართველოს მოქალაქე და არამოქალაქე პირთან მიმართებაში, მაგ: უცხოელს ევალება მიწის დამუშავება, მაშინ როცა საქართველოს მოქალაქეს ეს ვალდებულება არა აქვს;
- კანონში საკმარისად არ არის ბარიერები იმისთვის, რომ მიწა არასასურველი იურიდიული პირის საკუთრებაში არ აღმოჩნდეს;
- კანონის გარკვეული პუნქტები ბუნდოვანია.

თავა თოფურიანი



ბაგრატიონები აგვიჩაქ ავტომობილებზე დაკონტროლებენ

დავით ბაგრატიონ-მუს-რანელი და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი ამჯერად სამ ავტომობილზე დავობენ. დავა თანაცხოვრების დროს შექმნილი ქონებრივი დავის შესახებ სასამართლოში 17 აპრილს შედგება. საუბარია „მერსედეს კიენის“, პორშე კაიანისა და „ბემგე იქს 5“-ის ავტომანქანებზე.

ამასთან, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი ყოფილ მეუღლეს ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს.

როგორც დავით-ბაგრატიონ-მუსრანელის ადვოკატმა ლევან ჩხეიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ძალადობის ფაქტს დავით ბაგრატიონ-მუსრანელი არ აღიარებს, რადგან ბრალდება უსაფუძვლოა.


რაც შეეხება ქონებრივ დავას, ადვოკატის ინფორმაციით, დავით ბაგრატიონ-მუსრანელი ქონების დათმობას არ აპირებს.

ინტერნეტ თაღლითობა და კიბერდანაშაულა შემოგვიტია!

„კომერსანტს“ ერთ-ერთმა დაზარალებულმა პირმა მიმართა. მან ანონიმურად დარჩენა ისურვა. ამიტომ რედაქცია მის სახელს და გვარს არ ასახელებს. პირის განმარტებით, საზოგადოება უფრო მეტად უნდა იყოს გათვითცნობიერებული და თაღლითობას საკანონმდებლო ცვლილებები წინ უნდა უსწრებდეს.

დაზარალებული ყვება, რომ მას ინტერნეტ ბანკიდან თაღლითებმა ფული მოუხსნეს და ტოტალიზატორში გადარიცხეს. ახლა ამ საქმეს პოლიცია იძიებს. „საინტერესოა, რას გამოიძიებს, მაგრამ პარალელურად, სხვებიც რომ არ დაზარალებდნენ, კომუნიკაცია აუცილებელია. ამიტომ გადავწყვიტე თქვენთვის მომემართა“ – აღნიშნავს დაზარალებული.

მისი განცხადებით, ბოლო პერიოდში ინტერნეტ თაღლითების მიერ აქტიურად ვრცელდება რეკლამები სოციალურ ქსელებში – ვერძოდ, ფეისბუქზე, და ძალიან ნააგავს ქართული ბანკების მიერ შეთავაზებულ აქციებსა და კამპანიებს. აქციაში მონაწილეობის მიზნით, მომხმარებლის მიერ შეცდომით შევსებული მონაცემები, თაღლითებს საშუალებას აძლევს, მართონ ინტერნეტ ბანკი და განახორციელონ გადარიცხვები.



რა უნდა ვიყო დანაშაულის პრევენციის სტრატეგია

გადარიცხვა დაზარალებული მომხმარებლის ინტერნეტ ბანკის ანგარიშებიდან თაღლითების ან მათთან დაკავშირებული პიროვნებების ინტერნეტ ტოტალიზატორების ანგარიშებზე ხორციელდება. შესაძლოა, ანგარიში უცხოელ მოქალაქეებზეც ჰქონდეთ გახსნილი.

თაღლითების მიერ მოვიწოდებული სხვადასხვა დანაშაულებრივი სქემები წინ უსწრებს არსებულ კანონმდებლობას, რაც კიბერდანაშაულთან ბრძოლას ართულებს. ამიტომ,

მნიშვნელოვანია ქართული კანონმდებლობაც დინამიკური და ინოვაციური იყოს, რათა მოხდეს პრევენცია და თაღლითობის მაქსიმალური შემცირება. მაგალითისთვის, შესაძლებელია, კანონმდებლობამ ან თავად ბანკმა მოითხოვოს დამატებითი ვერსიფიკაცია, იმ შემთხვევებში, როდესაც ბანკიდან გადამრიცხავი და ინტერნეტ ტოტალიზატორის მიმღები სხვადასხვა პიროვნებაა, და მათი პირადი ნომრები განსხვავდება. სისტემების ავტომატიზაცია და შესაბამისი

ალგორითმების განერა ამის საშუალებას იძლევა.

ასევე კანონმდებლობამ უნდა დაავალდებულოს ინტერნეტ ტოტალიზატორი, რომ, თუ ხორციელდება ზარი ცხელ ხაზზე, რომელიც აფიქსირებს თაღლითური გზით კონკრეტული მომხმარებლის ნომერზე თანხის გადარიცხვას, ანგარიში 3 დღით გაყინოს, რათა თაღლითმა თანხა არ გაიტანოს.

როგორც დაზარალებული აცხადებს, ამ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს გამოძიების მიერ სასამართლოდან განჩინების მიღება, რომელიც უკვე კანონის სრული დაცვით მოახდენს დამნაშავის იდენტიფიცირებას და თანხის დაზარალებულისთვის დაბრუნებას. უნდა გამარტივდეს განჩინების გაცემის წესი, რათა დროულად და მარტივად დადგინდეს დამნაშავის ვინაობა.

„კომერციული ბანკები და ინტერნეტ ტოტალიზატორები სამართალდამცავებთან ერთად მუდმივად, დანაშაულებრივი პრაქტიკის გათვალისწინებით, თაღლითების მიერ მოვიწოდებული სქემების საწინააღმდეგო კანონმდებლობაზე უნდა მუშაობდნენ, რათა უზრუნველყონ დანაშაულის პრევენცია და შემცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუხსნელი საქმეების, დაზარალებულების რიცხვი მოიმატებს – გამოძიებები დაიტივრთებიან. დაიტივრთება ადმინისტრაციული საქმის წარმოება, რაც ხელს შეუშლის მნიშვნელოვან საქმეებზე ორიენტირებას“, – აცხადებს დაზარალებული.

სოფო ძსოვრელი

ვის შეუძლია იპოთეკური სესხის აღება?

პროვნილი ბანკის განმარტება

პროვნილი ბანკის განმარტებით, თუ მოქალაქეს ან ოჯახს შემოსავალი თვეში 2500 ლარი აქვს, 60 კვადრატული მეტრი ფართობის ბინის შეძენა, 15-წლიანი იპოთეკური სესხის მეშვეობით შეუძლია. შესაბამისი კითხვით ეროვნული ბანკის პრეზიდენტს პარლამენტში ვიზიტისას მიმართეს და ბანკმა გუშინ დამატებითი განმარტება გააკეთა.

„ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ დაკრედიტების ახალი წესებით, მხოლოდ მაღალ შემოსავლიან პირებს შეუძლიათ იპოთეკური სესხით სარგებლობა, რაც სიმართლეს ცალსახად არ შეესაბამება. მაგალითისთვის, 60-კვადრატული ბინა, 15-წლიანი იპოთეკური სესხის შეთხვევაში 2500 ლარის ყოველთვიური შემოსავლის მქონე პირსაც (ოჯახსაც) შეუძლია, შეიძინოს, მათ შორის, ისეთ შემთხვევაში, რო-

დესაც ოჯახის წევრების, მაგალითად, მეუღლეების ჯამური შემოსავლები 2500 ლარს შეადგენს. ამასთან, ბინის შეძენა შესაძლებელია როგორც საცხოვრებლად, ასევე სამომავლო გაქირავებისთვის. უფრო მცირე ზომის ბინის შეძენას ნაკლები შემოსავლის მქონე პირიც (ოჯახიც) შეუძლებს. აღსანიშნავია, რომ ლარის სესხების გაცემის კუთხით არსებული მოთხოვნები, რომელიც დაკრედიტების ახალი წესებით არის განსაზღვრული, დიდწილად თანხვედრაშია კომერციულ ბანკებში არსებულ შიდა მოთხოვნებთან“, – აღნიშნავენ ეროვნულ ბანკში.

უწყებაში მცდარს უწოდებენ საზოგადოებაში ბოლო დროს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს მნიშვნელოვნად გართულდა იპოთეკური სესხების აღება.

„რეალურად, პასუხისმგებელიანი დაკრედიტების პრინციპის თანახმად, „სირთულის“ არსი მხოლოდ მსესხებლის შემოსავლების შესწავლაშია. სესხები, მათ შორის, იპოთეკური უნდა გაცივს იმ პირობებზე, ვისაც მისი მომსახურების უნარი აქვთ. თუკი მსესხებელს რამე ტიპის შემოსავლები გააჩნია, ფორმალური თუ არაფორმალური, ისინი შეძლებენ სესხის აღებას“, – აღნიშნავენ ბანკში.



უკანონო სამუშაო პროცესი შეწყდა

საძარბაველს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და სამოქალაქო გაერთიანება „საყდრისის კომიტეტი“ კულტურული მემკვიდრეობისთვის“ აქტიური ქმედებების შედეგად ვარძიის კომპლექსის დამცავ ზონში კანონდარღვევით მიმდინარე სამშენებლო პროცესი შეწყდა.

სამუშაოების შეჩერების შესახებ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიიდან წერილობითი ცნობა სააგენტომ 10 აპრილს მიიღო. მძიმე ტექნიკის გამოყენებით წარმართულ მინის მოჭრის სამუშაოებს, რომელიც არასასაფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთზე სასტუმრო ინფრასტრუქტურისთვის გათვალისწინებულ საფხვმავლო ბილიკებისა და გზების მოწყობას მოიცავდა, შპს „ნიალას“ დაკვეთით ხორციელდებოდა.

ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კოზულაური დაცვის არეალში კომპანიის მიერ წარმოდგენილი სასტუმროს მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია სააგენტოს დამცავი ზონებისა და ურბანული მემკვიდრეობის სექციის საბჭომ გასულ წელს განიხილა, რის შედეგადაც ინვეს-

ტორს არქეოლოგიური ზედამხედველობის უზრუნველყოფის ქვეშ მხოლოდ ტერიტორიის გამწვანება განესაზღვრა დასაშვებად.

მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში სააგენტოს საბჭოს წევრების მიერ განსაზღვრული პირობის უგულვებლყოფის შემდეგ, უნებართვო პროცესის შეჩერების მოთხოვნით სააგენტომ წერილობით მიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერს. მინის ფართობის შტაბიანი სამუშაოების შედეგად სახეცვლილ ლანდშაფტზე წერილობითი ცნობა რეაგირებისთვის უწყებებიდან გარემოს ეროვნულ სააგენტოსაც გაეგზავნა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მიიჩნევს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის უძრავი ძეგლის დამცავ ზონაში წარმოებულ უნებართვო სამუშაოები უხეშად არღვევდა კულტურული ღირებულების მქონე ისტორიული ლანდშაფტის ქსოვილს და სტრუქტურას.

სამშენებლო პროცესის შედეგად ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში წარმოიქმნა თვალსაჩინო დისონანსი.

აზიის კონტინენტის ქვეყნები სახელგანთქმული არიან თავიანთი უძველესი ისტორიითა და უმდიდრესი კულტურით, მაღალგანვითარებული ცივილიზაციით, უზარმაზარი ბუნებრივი რესურსებითა და მოსახლეობის მატებით... მაგრამ თვით ის ევროპელებიც კი, რომლებიც ღრმა პათივისციემას განიცდიან აზიის ქვეყნების მიმართ, ყველაზე ნაკლებად ახასიათებენ ამ ქვეყნებს „დემოკრატიულად“. მით უმეტეს ეს ეხება შუა აზიის რეგიონს, რომელიც „მოსკოპუნისტურად“ არის მიჩნეული. თუმცა აღნიშნულ რეგიონში ყაზახეთი ორი-სამი ათწლეულის მანძილზე დემოკრატიული ტრანსფორმაციის არაერთ მაგალითს იძლეოდა, მაგრამ ყველაზე უფრო ნათელი და თან უპრეტენდენტოა ამა წლის მარტის თვეში ოცდაათი წლის მანძილზე ქვეყნის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის გადადგომა.

ურთიერთგანსვავებული ინტერესების მქონე მოთამაშეებთან, როგორებიც არიან ჩინეთი, რუსეთი და ამერიკა, ყაზახეთის სტატუსმა საერთაშორისო არენაზე საგრძობად აინია.

ლობისა და ინვესტორთა დაცვის ნებისმიერ საერთაშორისო რეიტინგულ მონაცემებში.

დიდხანს შეიძლება გავაგრძელოთ თავისი ქვეყნის წინაშე ყაზახეთის პირველი პრეზიდენტის დამსახურების ჩამოთვლა. მან ნამდვილად ბევრი გააკეთა ქვეყნისთვის, რეგიონისთვის და, რაოდენ პათოსურად არ უნდა ჟღერდეს, მთელი მსოფლიოსთვისაც. ნაზარბაევი გამოავლინა ნებისებრებისა და კეთილგონიერების უნიკალური მაგალითი. ყაზახეთმა უარი თქვა ბირთვულ იარაღზე

ლაკონურად შეაფასა ყაზახეთის პირველი პრეზიდენტის დამსახურებები ცნობილმა პუბლიცისტმა, ისტორიკოსმა და ჟურნალისტმა ლეონიდ მლეჩინმა. ამაზე უფრო ზუსტი შეფასების გაკეთება რთულია...

და მაინც, რატომ გადადგა ნაზარბაევი? ახლა ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ასაკის გამო. მართალია, ყაზახეთის პირველი პრეზიდენტი 78 წლისაა, მაგრამ იგი შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაშია! ამიტომ, ფიზიოლოგიური მიზეზის ძიება არასწორ დასკვნამდე მიგვიყვანს. მიზეზი ეს რომ ყოფილიყო, იგი მთლიანად პოლიტიკიდან ნავიდოდა, რაც არ მოხდა.

ნაზარბაევი მოიქცა მისთვის ჩვეულ სტილში, ბრძნულად და შორსმჭკრეტელურად. იმის გაცნობიერებით, რომ ხელისუფლების ტრანზიტი საზოგადოებაში საშიში გაურკვევლობის შეგრძნებას, ხოლო უცხოელ პარტნიორებსა და ინვესტორებში შეშფოთებას იწვევს, მან ვადაზე ადრე მოიხსნა უფლებამოსილება და ადგილი შედარებით უფრო ახალგაზრდა პოლიტიკოსს დაუთმო. იგი მოიქცა ისე, როგორც არ მოქცეულა არც ერთი შუაზიელი ლიდერი. ასე მხოლოდ ჭეშმარიტად გამბედავი პოლიტიკოსები იქცევიან.

ვადამდელი გადადგომის შედეგად ნურსულთან ნაზარბაევი გადალახა ქვეყნის მთავარი პოლიტიკური რისკი. მან ეს რბილად, რყევების გარეშე შეძლო. ქვეყანამ ნაზარბაევის დაშლის გარეშე გაიარა ხელისუფლების საკონსტიტუციო გადასვლა და ახალ ისტორიულ ეპოქაში შეაღწია. სცდება ყველა, ვინც ამბობს, რომ ვითარება ყაზახეთში იმაზე ნაკლებ პროგნოზირებადი გახდა, ვიდრე ნაზარბაევის გადადგომამდე იყო.

ყაზახეთში არ მოხდება არსებითი რყევები პირველი პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ახალი პრეზიდენტი ყასიმ-ჯომარტ ტოკაევი მთლიანად თავისი წინამორბედის კურსის გამგრძელებელია. მეშინადაც, რესპუბლიკა უცვლელად შეინარჩუნებს გარე და შიდა კურსს. ეს მან დაადასტურა ფიცის დადების ცერემონიაზე. მაშასადამე, ქვეყნის საგარეო და საშინაო კურსი უცვლელი რჩება, სახელმწიფოში ყველა ინსტიტუტი უკვე აპრობირებული მითითებებით და პრინციპებით იმოქმედებს.

მეორე, გარკვეული ხნოდან მოყოლებული, პრეზიდენტი ყაზახეთში ერთადერთი არ არის, ვისაც აბარია ქვეყნისთვის საკვანძო მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღება. 2017 წლიდან რესპუბლიკაში ამოქმედდა დემოკრატიული პროცესი, რომელიც მმართველობის სუპერსაპრეზიდენტო ფორმიდან საპრეზიდენტო-საპარლამენტო ფორმაზე გადასვლას ითვალისწინებს. პასუხისმგებლობის გადანაწილების პირველი ეტაპი, პრეზიდენტისგან პარლამენტისა და მთავრობის სასარგებლოდ, უკვე განხორციელდა. მინისტრებმა და კანონმდებლებმა მიიღეს 40 სხვადასხვა უფლებამოსილება, რომლებითაც ისინი უწინ არ იყვნენ აღჭურვილნი და ეს მხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივა იყო.

მესამე, ნურსულთან ნაზარბაევი მთლიანად არ მიდის პოლიტიკიდან. იგი რჩება უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, ფართო უფლებამოსილებებით, ასევე ინარჩუნებს მმართველი პარტიის მეთაურის ადგილს და აღიარებულია ერის ლიდერად. ძნელია, არ დავეთანხმოთ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძეს, რომელიც წერს:

„ეს იქნება ნაზარბაევის მხრიდან დემოკრატიული კონტროლის მექანიზმი გარდამავალი პერიოდის ფარგლებში, რომელიც წელიწადზე მეტხანს გაგრძელდება, შეიძლება ორ წლამდეც გასტანოს. ყაზახეთი ევროპული ტიპის ალმოსავლური ქვეყანაა, რომლის გეოგრაფიული მდებარეობა ვერ ითმენს პროცესების ზედმეტ დაჩქარებას, ყველაფერი უნდა განხორციელდეს რბილად და თანდათანობით. სომ არის ჩინური ანდაზა: „რაც უფრო ნაკლები ხმაურით იგეგმება, მით უფრო შორს წახვალ“. სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე ნაზარბაევი და იგი ყველაზე წინ აღმოჩნდა“.

რეზაზ ბიორხალიძე

ნაზარბაევი აკუსეიანი შექმნა



ჯერ ეკონომიკა, მერე პოლიტიკა!



ბულ, ეკონომიკურად აყვავებულ სახელმწიფოდ. ნურსულთან ნაზარბაევი იხელმძღვანელებს პრინციპით — „ჯერ ეკონომიკა, მერე პოლიტიკა“. ნაზარბაევის გარდა, ვერც ერთმა მისმა კოლეგამ მეზობელ სახელმწიფოებში ვერ გაბედა, ჩაეტარებინა პრივატიზაცია და ქვეყნის კარები გაეღო დიდი კაპიტალისათვის. რა შედეგი იქნა მიღებული ამ გზით, დღეს ჩანს: ყაზახეთი დიდხანს და დაშლამდურებად უსწრებს მეზობლებს განვითარების, ეკონომიკური მიმზიდველ

მაშინ, როდესაც ყველა გამწარებული ცდილობდა მის მოპოვებას. ქვეყანას შეეძლო, ამ არსენალზე კარგი ფული ეშოვა, მაგრამ ამ გზით იგი თავის ბედსა და მსოფლიოს ბედს საფრთხის ქვეშ დააყენებდა. ნურსულთან ნაზარბაევი ასე არ მოიქცა. მან მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ავტორიტეტის მოპოვება იარაღის ჟღარუნის გარეშე არის შესაძლებელი. „პირდაპირ უნდა ითქვას: ყაზახეთიც და მისი მეზობლებიც დიდ ვალში არიან ნაზარბაევის წინაშე“ — ასე მოკლედ და

ეკონომიკის ყველაზე დაზვიადებული ავიაკომპანია

მერიკაში ყველაზე დაზვიადებული ლონდონი-ნიუ იორკის ავიამიმართულებაა. ბოლო წლის განმავლობაში აღნიშნული მარშრუტი 3 მლნ-მდე მგზავრს მოემსახურა, აღნიშნულია Sabre Market Intelligence-ს კვლევაში. ამ ორ დანიშნულების პუნქტს შორის მანძილი 5.5 ათას კმ-ს შეადგენს.

Virgin Atlantic-ით, ხოლო 20.6%-მა ავიაკომპანია American Airlines-ის ბორტებით.



- 1. ლონდონი – ნიუ იორკი (2.9 მლნ მგზავრი);
- 2. ლონდონი – დუბაი (2.6 მლნ მგზავრი);
- 3. ლონდონი – დუბაი (1.8 მლნ მგზავრი);
- 4. სტამბოლი – თეირანი (1.7 მლნ მგზავრი);
- 5. ლონდონი – ამსტერდამი (1.7 მლნ მგზავრი);
- 6. ლონდონი – ლოს-ანჯელესი (1.6 მლნ მგზავრი);
- 7. ლონდონი – სინგაპური (1.5 მლნ მგზავრი);
- 8. ლონდონი – ჰონგკონგი (1.5 მლნ მგზავრი);
- 9. პარიზი – ნიუ იორკი (1.5 მლნ მგზავრი);
- 10. ლონდონი – ფრანკფურტი (1.5 მლნ მგზავრი).

წლები ეხატება, მაგრამ არ პირდება...

ყველა ქართველის საყვარელი გაზეთი

ძართულ სინამდვილეში სასპორტო ჟურნალისტიკას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩაეყარა საფუძველი...

ქართულ სასპორტო გაზეთებს შორის ყველაზე ხანგრძლივი ისტორია „ლელოს“ აქვს - 13 აპრილს მას 85 წელი უსრულდება...

1934 წლის 13 აპრილს, პარასკევს, სამზოვოზე გამოვიდა პირველი ქართული სასპორტო გაზეთი - „საქართველოს ფიზკულტურელი“...

ტეტის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის გერმანე მგალობლიშვილის...

გაზეთის მე-4 გვერდზე ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს და გაზეთ „საქართველოს ფიზკულტურელი“ რედაქციის მიმართვა...



თაობათა საყვარელი გაზეთი იზიარებს ყველაფერი 1934 წლის 13 აპრილს დაიწყო...

ცნეს, დაეარსებინათ საქართველოს ცაკ-თან არსებულ ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან ექვსდღიანი ბეჭდვითი ორგანო...

1949 წლის 10 ივლისიდან ქართულ სასპორტო ჟურნალისტიკაში იწყება „ლელოს“ ეპოქა...

რისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო...

მას ექნება თავისი ბეჭდვითი ორგანო, გამოდის გაზეთი „ლელო“.

გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლას (№1 (363) - საერთო ნუმერაციით „საქართველოს ფიზკულტურელთან“...

მართლაც, გაზეთმა მალე მოიპოვა ხალხის სიყვარული. „ლელო“ ქართული სპორტის ქომაგებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა...

ქართული სპორტის განვითარება პროპაგანდაში გაზეთმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციას 85 წლის იუბილეს ვულოცავთ!

ხელუბრთი

ჩეხიონი 23 მაისს გამოვლინდება

ოთხნობიერი მატჩი და დამთავრდება საქართველოს ხელბურთელ ქალთა 2018-2019 წლების ეროვნული ჩემპიონატი.



ყვარელი: ამონაშვილი - სურამლიშვილი 5, სმოიანი 4, თეთრაშვილი 3, ქიტესაშვილი 3, მიხელიძე 3, აფციაური 3, ტეტოშვილი 2, თავლორიშვილი 2, ფულიაშვილი 1, იოსებაშვილი 1, კოკორაშვილი 1.

აჭარა - მამული 29:25 აჭარა: ქარჩავა - დვალისვილი 11, კობახიძე 9, ქაშაშიძე 4, კოჩალიძე 2, აიოზბა 2, ცივარაძე 1, საფარიძე.

მამული: გორჯოლაძე 1 - შახულოვი 8, იაშვილი 6, ველიჯანაშვილი 4, ქობალია 2, ჩუხატურიანი 2, მურჯიკიანი 1, ბერიკაშვილი 1.

წყალტუბო - პეგასი 17:16 წყალტუბო: ჩაგჩიძე - დარსაველიძე 7, ლალაძე 4, ფანცხავა 2, ხეცურიანი 2, კეკელია 1, ბენდელიანი 1.

პეგასი: ჯიქურაშვილი - საბაშვილი 5, ჩხაიძე 5, ლუკავა 3, კორძია 2, ქეხაძე 1, ნეფარიძე, სვანიძე, პაპუაშვილი, დაღვანი.

მსაჯები: თ. კველიშვილი, ნ. კველიშვილი, ი. ჭკუასელი, ზ. აბრამიშვილი.

Table with 6 columns: Team, M, W, L, Goals, Points. Lists teams like ყვარელი, ქარიშხალი, სამტრედია, ფოთი, აჭარა, პეგასი, მამული, წყალტუბო.

22 მაისს ნახევარფინალები, 23-ში კი ფინალი და მატჩი 3 ადგილისთვის გამართება.

ჩოგბურთი

მეოთხედფინალში გავიდნენ

ორი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობს პორტუგალიური ობიდონის ქალთა 25.000-იან საერთაშორისო ტურნირში.

(გერმანია) და ანასტასია პრიბილოვას (რუსეთი) სძლიეს - 6:0, 6:3.



წყვილებში მესამე ნომრად განთესილმა სოფიო შაფათავამ და ემილი ვებლი-სმიტმა (დიდი ბრიტანეთი) მარიამ ახალაია (მოლდოვა) და ინეს ოლივეირა (პორტუგალია) დაჯაბნეს - 6:1, 6:3; მარიამ ბოლქვაძემ და ნასტია კოლარმა (სლოვენია) მე-4 ნომრებს - ვივიენ ჰეისენსა

ჭადრაკი

პროკას ანტალია მასპინძლობს

31 მარტის 131 წარმომადგენელი, მათ შორის - 8 ქართველი ჩაერთო ევროპის მოჭადრაკე ქალთა მე-20 საიუბილეო ჩემპიონატის მედლებისთვის ბრძოლაში.

(თურქეთი, 2281) - ნანა ძაგნიძე (2513) 0:1, ბელა ხოტენაშვილი (2479) - ზენაბ მაქედიაროვა (ახერბაიჯანი, 2280) 1:0, მირანდა მიქაძე (2266) - ოლგა გირია (რუსეთი, 2461) 0.5:0.5, ვიკტორია ჩერნიაკი (რუსეთი, 2252) - ნინო ბაციაშვილი (2453) 0:1, მერი არაბიძე (2399) - მონიკა მოტიჩაკოვა (სლოვაკეთი, 2174) 0.5:0.5, სალომე მელია (2393) - სვეტლანა პეტრენკო (მოლდოვა, 2155) 0.5:0.5, ჩადირნელი (თურქეთი, 2043) - სოფიკო ხუბაშვილი (2342) 0.5:0.5, ეკატერინე ფიფია (1936) - მელანი ლუბე (გერმანია, 2304) 0:1.

უკვე გაიმართა პირველი ტურის ორთაბრძოლები. გაუწყებთ ჩვენებურთა შედეგებს: ბეტულ ჩემრე



მკვრივსაში



ანზორ თოდრიძე - ქართველი პან გოგი!


ინჰინიერად მინახავს კაცი, ვისი შინაგანი სამყაროც (ხასიათი) აბსოლუტურად იდენტური იყოს მისივე შემოქმედების!

გუშინ ასეთი ადამიანი აღმოვაჩინე. განა არ ვიცნობდი, ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს – როგორც იტყვიან, ერთი ქვეყნის გვახურავს, ერთ სახლში, გვერდით გვერდ სადარბაზოში ვცხოვრობთ.

იგი ჩვენი კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარეა – თხემით ტერფამდე სუფთა, მოკრძალებული და ღიმილიანი კაცია, რომელიც შინაგანად ყოველთვის მზადაა, ყველას ტკივილი და საწუხარი გულთან მიიტანოს – ხშირად თუ ქალაქის მერიასთან ვერაფერს გაანწყობს, ცდილობს, პრობლემის გადაწყვეტის სხვა გზა მოძებნოს...

ყოველთვის ეზოში, ან საკმაოდ მოზრდილ, სახელდახელოდ გაკეთებულ ავტოფარეხში ფუსფუსებს – რა არ გამოდის მისი მადლიანი ხელიდან!

ვიცოდი, რომ ხატავდა, ვიცოდი, რომ აღიარებული გრაფიკოსი იყო, მაგრამ, ვერაფრით წარმოვიდგენდი, ორიგინალური ფერწერითაც თუ მოაჯადოებდა მისი ნამუშევრების დასათვალიერებლად მისულ პუბლიკას.



ანზორ თოდრიძეზე მოგახსენებთ... გუშინ საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში (კალისტრატე ქუთათელაძის №6) ახალი ანზორ თოდრიძე აღმოვაჩინე: თვითნაბადი ფერმწერი, სრულიად ახალი ხელნერის დიდოსტატი. სულაც არ არის ეს გაზვიადებული შეფასება – თავად კოლეგები (პროფესიონალი მხატვრები) ვერ მალავდნენ გაოცებას – მიხარია, რომ მათ შეფასებებში გულწრფელი აღფრთოვანება იკითხებოდა.

საოცარია, თავად კოლეგებმაც არ იცოდნენ თურმე, რომ ბატონი ანზორი ასეთი მაღალი გემოვნების ფერმწერიც ყოფილა – იგი წლების მანძილზე ჩუმად, თავისთვის ქმნიდა თურმე ხელთუქმნელ შედეგებს. დღემდე არც პომპეზურ გამოფენებზე უფიქრია და არც ვინმეს კარი აუტალახებია: მომხედეთ და მადლიარეთო! აღიარებას კი ნამდვილად იმსახურებს...

დარწმუნებული ვარ, ვინმემ რომ მოინდომოს და მისი ფერწერული ტილოები უცხოეთში გაიტანოს (გამოყენა-გაყიდვა მოაწყოს), არც აღიარება დააკლდება და მისი უნიკალური ტილოების შესაქენად სოლიდურ თანხებსაც არ დაიშურებენ! რაც შეეხება მის ფერწერულ შემოქმედებას,



არ ვარ სპეციალისტი, პროფესიონალურად შევაფასო ანზორ თოდრიძის ფერწერული ტილოები. თუმცა, პროფესიონალური აღქმა არც სჭირდება, თვითნაბადი მხატვრის სიდიადე რომ შეიგრძნო. გულწრფელად ვიტყვი: გუშინ ისე დავიმუხტე, ასე მგონია, მის მიერ რუდუნებით შექმნილ სამყაროში დიდხანს ვიმოგზაურებ!

როგორც ვთქვი, კი არის ბატონი ანზორი მოკრძალებული პიროვნება, რომელიც წლების მანძილზე უჩუმრად ქმნიდა იშვიათ ფერწერულ ტილოებს და არც ფულზე და არც დიდებულ უოცნებია, მაგრამ, დროა მისი შემოქმედება საქართველომ გაიცნოს და აღიაროს, რისთვისაც საჭიროა უნიკალური ნამუშევრების გამოყენა უფრო სოლიდურ სამხატვრო გალერეებში მოეწყოს. ამასთან, უნდა ვიფიქროთ ფერწერული ტილოების ალბომის გამოცემაზეც.

ჩვენი მამულიშვილური ვალაია, ყველა გვერდში დავედგეთ ამ ღვთისნიერ და არაბუნებრივად მოკრძალებულ ხელმარჯვე ოსტატს, რომ მისმა შემოქმედებამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს ფერწერულ სამყაროში.


ნახეთ ეს ფერწერული ტილოები და ბოლომდე დატკბით.

P.S. საქართველოს მხატვართა კავშირისა და დაინტერესებული ჯგუფის ინიციატივით მაისის ბოლო დღეებში ანზორ თოდრიძის ფერწერული ტილოები გამოიფინება ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში (გუდიაშვილის 3). ზუსტ თარიღს გაცნობებთ დამატებით.

ზაურ ნაჭყავია, პუბლიცისტი



ვასტანგ გოგილაშვილი




ციულ სახუნზე შეერთებებში ლილე-მილისა“. 1972-1991 წლებში მუშაობდა „მექანიზმებისა და მანქანების თეორიის“ კათედრის დოცენტად. 1990 წელს დაიცვა დისერტაცია მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „რეგულარულ დრეკად-ფრიქციულ რეგულირებაში მექანიზმების დინამიკა ექსტრემალურ პირობებში“ და 1991 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მექანიზმებისა და მანქანების თეორიის“ კათედრის ჯერ პროფესორი, შემდეგ კი 2006 წლიდან ამ მიმართულების პროფესორია. ამავე წლიდან არის „მექანიზმებისა და მანქანების თეორიის“ მიმართულების ხელმძღვანელი.

საზოგადოებას დააკლდა სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მექანიზმებისა და მანქანების თეორიის მიმართულების ღვანწმოსილი პედაგოგი, პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი ვასტანგ გოგილაშვილი.

ვასტანგ გოგილაშვილი დაიბადა 1933წ. 20 ნოემბერს ქ. თბილისში. 1947 წელს დაამთავრა თბილისის მე-15 საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე „მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის“ სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1957 წელს წარჩინებით. 1957-1960 წლებში მუშაობდა უფროს ტექნოლოგად თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში, 1960 წელს მიწვეული იქნა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში „მექანიზმებისა და მანქანების თეორიის“ კათედრაზე ასისტენტად, სადაც მუშაობდა 1961 წლამდე. 1961 წელს გადაყვანილი იქნა ამავე კათედრის ასისტენტად, სადაც მოღვაწეობდა 1972 წლამდე. 1969 წელს დაიცვა დისერტაცია მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ენერჯის განფანტვა კონსტრუქციულ მერაბ ლლონტი, რძალი დოდო შენგელია, შვილიშვილები ანა, გვანცა ლლონტები იუნკებიან, რომ გარდაიცვალა“

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი ოთარ გელაშვილი



შვილი მერაბ ლლონტი, რძალი დოდო შენგელია, შვილიშვილები ანა, გვანცა ლლონტები იუნკებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ ლლონტი

პანაშვიდი: 14, 15 IV, 17 სთ. დაკრძალვა: 16 IV, 14 სთ.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, მეექვსე კვარტალი, 23-ე კორპუსი, ბ. 18 (იგივე ქეთარაძის ქ. 53).

ლიფტის ხელოსანს გულგრილობისთვის 4 წელი მიუსაჯეს

პროკურორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე გულგრილობისთვის ბრალდებულს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გულგრილობისთვის, რასაც მცირეწლოვანი ბავშვის გარდაცვალება მოჰყვა, ბრალდებული კ.ა. დამნაშავე ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ შპს „ვერტიკალი 777“-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა კ.ა. მლიფტის სწორი ექსპლუატაციის, ტექნიკური დათვალიერებისა და უსაფრთხოების კვანძების შემოწმებაზე 2016 წლის 1 იანვარს ხელშეკრულება გააფორმა ამახანაგობა „საბურთალო 82“-ის თავმჯდომარესთან. კ.ა. პასუხისმგებელი იყო რა ლიფტის უსაფრთხო ექსპლუატაციაზე, არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები – მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო არ შეამოწმა და არ შეაკეთა კორპუსის მე-2 სადარბაზოს მე-7 სართულზე ლიფტის შახტის გარღვეული ლითონის მავთულბადე, რასაც 2017 წლის 24 მარტს მცირეწლოვანი ბავშვის გარდაცვალება მოჰყვა. ბავშვმა გარღვეული ლიფტის შახტის დამცავი ლითონის ბადის ლიობში თავი შეჰყო და სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები მიიღო.

ამ დღეებში ციხის კედლები დატოვა რუსეთის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა კანონიერმა ქურდმა ტარიელ ონიანმა (ტარო).

ამის შემდეგ რუსეთის კრიმინალურ სამყაროში ბოლო წლების შედარებით სიმშვიდე დასრულდა – ტარო აპირებს, პასუხი მოჰკითხოს ყველა კოლეგას, ვინც თავის დროზე მოაწერა ხელი მისთვის სტატუსის ჩამორთმევას. ეს კი შესაძლებელია გადაიზარდოს დიდ გარჩევებში და სროლებში.

სამართალდამცველ ორგანოებში ერთ-ერთი წყაროს ინფორმაციით, ონიანის გათავისუფლებისთვის მისმა გარემოცვამ მზადება წინასწარ დაიწყო. იგი დეპორტაციას ექვემდებარება, ამიტომ მისი ახლობლების მთავარი ამოცანაა, ეს პროცესი არ გაინელოს და „ავტორიტეტს“ დიდხანს არ მოუწიოს ყოფნა სადეპორტაციო ცენტრში.

ონიანი დეპორტირებული იქნება საქართველოში, საიდანაც ავტომატურად გაემგზავრება თურქეთში – ბილეთი უკვე წაყიდა, დარჩა მხოლოდ თარიღის მითითება.

სადღეისოდ თურქეთში იმყოფება ტარიელ ონიანის გარემოცვის დიდი ნაწილი. ისინი უკვე ზეიმობენ გამარჯვებულ



რუსეთის ქურდული სამყარო ახალი ომისთვის ემზადება!

ტარიელ ონიანი თავისუფალია!

დენიმე ათეულმა მაფიოზმა. სანამ ისინი უარყოფენ თავიანთ ხელმოწერებს, ფორმალურად ტარიელ ონიანი კანონიერ ქურდად არ ითვლება.

ქურდების დიდმა ნაწილმა უარყო თავისი ხელმოწერა, ონიანი ერთდროულად იჭერს ორ კურდღელს – მოხსნის

ათ დიდი გავლენა კრიმინალურ სამყაროში და შესაძლებელია, რომ მათ მიყენონ ონიანის კლანს პრევენციული დარტყმები.



ტარიელ ონიანი (ტარო)

ეს საკითხი „კანონიერმა ქურდებმა“ განიხილეს 2015 წელს სომხეთში შემდგარ მასშტაბურ ქურდულ შეკრებაზე, რომელიც ზაქრო კალაშოვი (ზაქრო-მოლოდოი) ხელმძღვანელობდა. მაშინ მიიღეს გადაწყვეტილება – როდესაც ტარო გამოვიდოდა ციხიდან, წერილის ხელმოწერები შექმნიდნენ მისთვის პრეტენზიები ღიად წაყენებინათ. ონიანი მათ უპასუხებს და ამ ერთგვარი დებატების საფუძველზე გაკეთდება საბოლოო დასკვნა – იმსახურებს თუ არა იგი ქურდის სტატუსის შენარჩუნებას.



ასლან ჯსოიანი (დედ ჰასანი)


პრობლემებს თავის ქურდულ სტატუსთან დაკავშირებით და შეიძენს ახალ მოკავშირეებს. ამის შემდეგ ის გამოაცხადებს პრეტენზიას პირველობაზე რუსეთის ქურდულ სამყაროში.

ამიტომაც, ახლო მომავალში მოსალოდნელია ახალი ქურდული ომი – თუმცა, ტერიტორიულად ის ნაკლებად შეეხება რუსეთს და გაიშლება ძირითადად თურქეთში.

წერილის ხელმოწერ რუს ქურდებს გაუადვილებდათ ამ სიტუაციაში სიმშვიდის შენარჩუნება. უახლოეს დღეებში ტარიელ ონიანი, როგორც უკვე ითქვა, დატოვებს რუსეთს, ხოლო რუს ავტორიტეტებს აქვთ მომავალი შეკრებისგან თავის არიდების კარგი საბაბი – მათი დიდი ნაწილი ვერ დატოვებს რუსეთს, რადგანაც ქვეყნიდან გასვლის შემთხვევაში მათ დიდი ალბათობით დააპატიმრებენ.

ბას და ყველას ემუქრებიან დიდი უსიამოვნებებით, ვინც ხელი მოაწერა ონიანისთვის ქურდული სტატუსის ჩამორთმევის წერილს.

თუმცა, ამავე დროს, ონიანის ყველაზე დიდი თანამოაზრე, იტალიაში მცხოვრები მერაბ ჯანგველაძე (მერაბ სუსუმსკი) დუმის ინარჩუნებს. ის გამოცდილი და ფრთხილი ადამიანია და კარგად ესმის ყველა სირთულე – მოსკოვიდან სტამბოლამდე დიდი გზაა და, შესაძლებელია, ონიანი კიდევ ერთხელ დაიჭიროს. მაგალითად, მას ეძებს ესპანეთის პოლიცია, რომელიც მას ქვეყანაში დანაშაულებრივი ჯგუფის ჩამოყალიბებაში სდებს ბრალს. თუ ოფიციალურმა მადრიდმა ონიანი ხელში ჩაიგდო, მას დიდი ხნით ისევ მოუწევს გისოსებს მიღმა ყოფნა.



მერაბ ჯანგველაძე (მერაბ სუსუმსკი)

თუმცა, სავარაუდოდ, დღეს ეს შეთანხმება არ მოქმედებს, რადგანაც ზაქრო მოლოდოი ციხეშია. ამიტომაც ახალი შეკრების ორგანიზებას თვითონ ტარო აპირებს.

არსებული ინფორმაციით, ცნობილია, რომ ტარიელ ონიანი არ აპირებს ომის გამართვას წერილის ყველა ხელმოწერთან. სავარაუდოდ, მათ შესთავაზებენ რაიმე ფორმალურ მიზეზს, რითაც ხელმოწერას უარყოფენ – დავუშვათ იმის თქმას, თითქოს ხელმოწერა გაყალბებულია, ან საჯაროდ ბოდიშის მოხდას და ა.შ.

თუ ტარო ჩააღწევს თურქეთამდე, მისი მოქმედებების სცენარი უკვე ცნობილია – ის აპირებს ქურდების შეკრებას და სწორედ იმ წერილის საკითხის დაყენებას.

საუბარია წერილ-მიმართვაზე, რომელიც დაიწერა 2009 წელს, იმ დროისთვის რუსეთის ყველაზე გავლენიანი ქურდის ასლან ჯსოიანის (დედ ჰასანის) ინიციატივით. მას ხელი მოაწერა რამ-

თუ ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და

სავარაუდოდ, ავტორიტეტების დიდი ნაწილი უარყოფს თავის ხელმოწერას, თუმცა, მოსალოდნელია სირთულეებიც. რამდენიმე ქურდი უკვე დეპორტირებულია რუსეთიდან. წყაროს ინფორმაციით, ეს არ იყო შემთხვევითი და დაკავშირებულია სწორედ ტაროს გათავისუფლებასთან.

თანაც, არის რამდენიმე ავტორიტეტი – ძირითადად ქართველები, რომელთა პოზიცია ამ საკითხში შესაძლებელია, იყოს უფრო მტკიცე, რადგანაც მათ გააჩნიათ დიდი წონა კრიმინალურ სამყაროში და არ ემინათ ტარიელ ონიანის.

ერთ-ერთი ასეთი ქურდი არის გოჩა ალფაიძე, რომელიც შუდის ძალზე გავლენიანი აზერბაიჯანელი კრიმინალის ნადირ სალაფოვის (ლოტუ გულის) კლანში.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იმ ქურდებზე, რომლებიც არ დანებდებიან ტარიელ ონიანს, დაიწყება ნამდვილი ნადირობა. მოსალოდნელია საქმის გარჩევები, სროლები და მსხვერპლი.

თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ტაროს მონინალმდეგეებიც არ არიან უბრალო ქუჩის ბიჭები, მათაც გააჩნი-

თი დიდი ნაწილი ვერ დატოვებს რუსეთს, რადგანაც ქვეყნიდან გასვლის შემთხვევაში მათ დიდი ალბათობით დააპატიმრებენ.

თანაც, დღეს რუსეთში ძირითადად დარჩნენ რუსი წარმოშობის ქურდები, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას კავკასიურ გარჩევებში და ტაროს ირგვლივ შექმნილ კონფლიქტში ნეიტრალური პოზიცია ეკავათ. მათ გარეშე ონიანს გაუჭირდება პირველობის მიღწევა, ხოლო რუს ქურდებს ამ ეტაპზე ჰყავთ სხვა ფავორიტი.

ასლან ჯსოიანი, რომ ტარიელ ონიანის



ზაქრო კალაშოვი (ზაქრო მოლოდოი)

მთავარი მტერი ზაქრო-მოლოდოი ისევ ციხეშია და ინარჩუნებს დუმის. თუმცა, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. წყაროს ინფორმაციით, არსებობს მეტი ალბათობა, რომ კალაშოვი დაიბრუნებს ნომერ პირველი ქურდის სტატუსს, ვიდრე მას მიიღებს ტარიელ ონიანი.

ROSBALT.RU



„ლავასოლის“ 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისთვის სამი პირი, ხოლო „კანონიერი ქურდობის“ და „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობისთვის ერთი პირი დამნაშავედ ცნეს.

მათ შორის არის ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი მინდია ლავასოლი, რომელსაც დაუსწრებლად სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

„სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ „კანონიერი ქურდი“ მ.ლ. „ქურდული შეკრებით“, დანაშაულის ჩადენით, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებით, საკუთარი კრიმინალური გავლენის

გამოყენებით და სხვა უკანონო ქმედებით, თავისთვის და სხვისთვის სარგებლის და უპირატესობის მიღების, ძალაუფლების და გავლენის მოპოვება-მინიჭების მიზნით, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და მათ შორის ქალაქ ბათუმში, მართავდა ქურდული სამყაროს წევრების ერთობას, რომლის მხარდაჭერას 2018 წლის აპრილ-ივნისში ახორციელებდნენ ი.გ., შ.კ. და ზ.ა., რაც „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს ქმნიდა“ – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ს.ს.ი.პ - ნიალის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის განცხადების განცხადების მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი ნიალის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
